

საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებების 2014 წლის ტენდენციები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის არაგადამდებ დაავადებათა 2010 წლის გლობალური ანგარიშის მიხედვით, საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები, წარმოადგენენ სიკვდილობის მეოთხე მიზეზს მსოფლიოში (დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით; კარდიოვასკულური, სიმსივნური და ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების შემდეგ).ⁱ

2012 წელს მსოფლიოში აღირიცხა საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებით გარდაცვალების 2 264 000 შემთხვევა, რაც საერთო სიკვდილიანობის 4,1-ს % შეადგენდა. 2012 წლის მონაცემებით, საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებიდან გარდაცვლილთა დიდი რიცხვით გამოირჩეოდა ღვიძლის ციროზით გარდაცვლილები (1 021 000 გარდაცვლილი მსოფლიო მასშტაბით), რამაც 2012 წელს საერთო სიკვდილიანობის 1,8% შეადგინა.ⁱⁱ

2012 წელს მსოფლიო მასშტაბით საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებზე მოდიოდა 78 038 988 დაკარგული სიცოცხლის წელი (DALYs). მათ შორის ღვიძლის ციროზზე მოდიოდა 36 038 868 დაკარგული სიცოცხლის წელი.ⁱⁱⁱ

ევროპის რეგიონის ჯანმრთელობის 2012 წლის ანგარიშის მიხედვით, საქმლის მომწელებელი სისტემა სიკვდილობის მაჩვენებელით, დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით 2006-2010 წლებისათვის, მე-6 ადგილზეა.

ევროპის რეგიონში 1990-2010 წლებში ნაადრევი სიკვდილობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ბევრი ჯგუფისათვის შემცირდა, თუმცა საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებით ნაადრევი სიკვდილობა ამავე პერიოდში 30%-ით გაიზარდა.

ევროპის რეგიონში სიკვდილის მიზეზთა შორის საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები მნიშვნელოვანი ჯგუფია. ამ ჯგუფში შედის ღვიძლის ქრონიკული დაავადებები, ციროზი და კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადებები. საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებით ნაადრევი სიკვდილობის ტრენდი ევროპის რეგიონში 90-იანი წლების ბოლოდან 2005 წლამდე მზარდია. შემდგომ შეინიშნება მცირედი შემცირება. 2010 წელს ევროპის რეგიონში საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებით ნაადრევი სიკვდილობის მაჩვენებელი იყო 25 (ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე, 0-64 წელი). ისეთი საკვების საზიანო მოხმარება როგორცაა ალკოჰოლი და არაჯანსაღი (ქარხნულად გადამუშავებული) პროდუქტი ხელს უწყობს საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებების განვითარებას.

ევროპის რეგიონში ღვიძლის ქრონიკული დაავადებებით და ციროზით სიკვდილიანობა ბოლო დეკადის განმავლობაში უცვლელია. ღვიძლის ქრონიკული დაავადებები ასოცირებულია B და C ჰეპატიტებთან, ალკოჰოლის, ტოქსინების და წამლების არასწორ გამოყენებასთან. 2006-2010 წლების მონაცემების თანახმად, ღვიძლის ქრონიკული დაავადებებით და ციროზით ნაადრევი სიკვდილობის მაჩვენებელი ევროპის რეგიონში 100 000 მოსახლეზე 0,57-74,3 ფარგლებში ცვალებადობს ქვეყნების მიხედვით.^{iv}

ყოველწლიურად საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები წარმოადგენს ექიმთან ვიზიტის, ჰოსპიტალიზაციისა და შრომისუუნარობის მნიშვნელოვანი შემადგენელს აშშ-ში. მაგალითად, 2004 წელს გადაუდებელი და ამბულატორიული შემთხვევების 35% (100 მილიონი) დაკავშირებული იყო საქმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებთან. ამ ჯგუფის


დაავადებები უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, განსაკუთრებით მათი გავლენის გათვალისწინებით ცხოვრების ხარისხზე, ნაადრევ სიკვდილიანობაზე და ჰოსპიტალიზაციისა და მკურნალობის ხარჯებზე.^v

2004 წელს აშშ-ში საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით, როგორც სიკვდილის ძირითადი მიზეზით, აღირიცხა გარდაცვალების 236 000 შემთხვევაზე მეტი, რაც წარმოადგენდა გარდაცვალების ყველა შემთხვევის 9,8%-ს. გარდაცვალების ფარდობითად დაბალი პროცენტი აღირიცხა ბავშვებში - 4,1% და მაღალი - საშუალო ასაკის მოზრდილებში (15,1%). საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით გარდაცვალების განაწილებაში არ შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები რასისა და სქესის მიხედვით.^{vi}

საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებები საქართველოში არაგადამდებ დაავადებათა ტვირთის მნიშვნელოვანი შემადგენელია. 2014 წელს ეს დაავადებები საქართველოში სიკვდილიანობის მეხუთე ძირითად მიზეზს წარმოადგენდა^{vii} (სურათი 1)

სურათი 1


სიკვდილიანობის გამომწვევი 5 უზშირესი მიზეზი 2010-2014, საქართველო



საქართველოში დაავადებათა ახალი შემთხვევებით ავადობის ზოგად სტრუქტურაში საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. 2010-2014 წლებში დაავადებათა ეს ჯგუფი, ინციდენტობის მაჩვენებლის მიხედვით, მეორე ადგილზეა სუნთქვის ორგანოთა დაავადებების შემდეგ (სურათი 2).

სურათი 2


ინციდენტობის 5 უზშირესი მიზეზი 2010-2014, საქართველო



დაავადებათა გავრცელების მიხედვით, საჭმლის მომწელებელი სისტემის ავადმყოფობები 2010-2013 წლებში ტრადიციულად მესამე ადგილზე იყო სუნთქვის ორგანოთა და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებათა შემდეგ. 2014 წელს ტენდენცია შეიცვალა და საჭმლის მომწელებელი სისტემის ავადმყოფობათა პრევალენტობამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა (სურათი 3).

სურათი 3


პრევალენტობის 5 უზშირესი მიზეზი 2010-2014, საქართველო



2014 წელს საქართველოში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებულია 570 337 ავადმყოფი (პრევალენტობა–15 302,8). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 349 591 ავადმყოფი (ინციდენტობა – 9 380). 2000-2014 წლებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების პრევალენტობისა და ინციდენტობის ტრენდები მსგავსია. როგორც პრევალენტობის, ასევე ინციდენტობის ტრენდში შეიძლება გამოვყოთ სამი პერიოდი. პირველი-2000-2004 წლები, როცა ტრენდი ზომიერად მზარდია; მეორე-2004-2010 წლები, როცა ტრენდი ცვალებადია, რაც ქრონიკული დაავადებისათვის უჩვეულოა და მესამე-2011-2014 წლები პრევალენტობისა და ინციდენტობის მკვეთრი ზრდით. განსაკუთრებით მკვეთრი იყო მაჩვენებლების მატება 2014 წელს. 2014 წელს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების პრევალენტობა გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო ინციდენტობა -1,4-ჯერ. 2000 წელთან შედარებით, 2014 წელს დაავადების პრევალენტობა 8,3-ჯერ არის გაზრდილი (სურათი 4).


სურათი 4

საჭმლის მომნელებელი სისტემის პრევალენტობა და ინციდენტობა 2000-2014 საქართველო



ბავშვთა ასაკში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დიაგნოზით 2014 წელს რეგისტრირებულია 53 277 ავადმყოფი (პრევალენტობა – 8 215,4), სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 39 853 ავადმყოფი (ინციდენტობა – 6145,4). 2014 წელს ბავშვთა ასაკში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებით პრევალენტობამ 1,35-ჯერ, ხოლო ინციდენტობამ 1,32-ჯერ მოიმატა. 2000-2014 წლებში ბავშვთა პრევალენტობის და ინციდენტობის ტრენდები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, გარდა 2013 და 2008 წლებისა, როცა პრევალენტობის მატებას თან ახლდა ინციდენტობის მცირეოდენი კლება. 2000 წელთან შედარებით, 2014 წელს ბავშვთა ასაკში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების პრევალენტობა გაზრდილია 7,8-ჯერ (სურათი 5).


საქმლის მომწოდებელი სისტემის პრევალენტობა და ინციდენტობა ბავშვთა ასაკში
2000-2014 საქართველო



2014 წელს საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების შინაგან სტრუქტურაში ტრადიციულად წამყვან ადგილს იკავებს პირის ღრუს სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების დაავადებები (61%), შემდეგ მოდის საელაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაავადებები (13%) და ნაღვლის ბუშტის სანაღვლე გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები (12%) (სურათი 6)

სურათი 6


საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებების შინაგანი სტრუქტურა, საქართველო, 2014



რეგიონული განაწილების მიხედვით, ტრადიციულად მაღალია პრევალენტობა აჭარასა და თბილისში. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი მატება აღინიშნა სამეგრელოში (2,35-ჯერ), იმერეთში (1,95-ჯერ) და ქვემო ქართლში (2,1-ჯერ). პრევალენტობამ დაიკლო შიდა ქართლში (1,26-ჯერ) (სურათი 7).

სურათი 7

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა პრევალენტობის რეგიონული განაწილება საქართველო. 2009-2013



2014 წელს სტაციონარებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებით მკურნალობა გაიარა 36 949 პაციენტი. მათ შორის მკურნალობა ლეტალურად დასრულდა 890 შემთხვევაში, ლეტალობის მაჩვენებელია - 2,4%. 2014 წელს სტაციონარებში ლეტალობის მაჩვენებელით საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, დაავადებათა კლასების მიხედვით, მეშვიდე ადგილზეა (სურათი 8).

სურათი 8


ლეტალობის სტრუქტურა დაავადებათა კლასების მიხედვით, საქართველო. 2014

კლინიკური სიმპტომები, ნიშნები და გადახრები ნორმიდან, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	14,6
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა	5,8
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	5,5
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	3,9
სისხლის და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები	3,7
ახალწარმონაქმნები	2,9
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	2,8
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	2,4

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებთან ლეტალობა სტაციონარებში 2007-2014 წლებში ცვალებადი ტენდენციისაა. წინა წელთან შედარებით, 2014 წელს ლეტალობა მიშენელოვნად გაიზარდა. 2007 წელთან შედარებით, ლეტალობა გაიზარდა 1,5-ჯერ (სურათი 9).

სურათი 9

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებით სტაციონარებში ლეტალობის დინამიკა, საქართველო, 2014



საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით სტაციონარებში ლეტალობის შინაგანი სტრუქტურა არაერთგვაროვანია. მაღალი ლეტალობით გამოირჩევა ღვიძლის ავადმყოფობები, პერიტონეუმის ავადმყოფობები და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები (სურათი 10)

სურათი 10


საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით სტაციონარებში ლეტალობის შინაგანი სტრუქტურა, საქართველო. 2014

საქმლის მომწოდებელი სისტემის ავადმყოფობები	გაწერილია	გარდაიცვალა	ლეტალობა %
სულ	36949	890	2,4
პირის ღრუს,სანერწყვე ყირკვლების და ყბების ავადმყოფობები	850	1	0,1
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული	2962	141	4,5
გასტრიტი და დუოდენიტი	156	5	3,1
ჭია ნაწლავის ავადმყოფობები	8243	4	0,0
თიაჭარი	8572	28	0,3
არაინფექციური ენტერიტი და კოლიტი	103	2	1,9
პერიტონეუმის ავადმყოფობები	729	141	16,2
ღვიძლის ავადმყოფობები	729	194	21,0
ნაღვლის ბუშტის,ნაღვლის გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები	820	18	2,1

საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით სტაციონარებში ლეტალობის მაღალი მაჩვენებლით 2014 წელს გამოირჩევა გურია, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა და სამეგრელო. დაბალია ლეტალობა სამცხე-ჯავახეთში. რაჭა-ლეჩხუმი და გურია ხასიათდება ტრადიციულად მაღალი ლეტალობით, რაც, სავარაუდოდ, სამედიცინო სერვისის ნაკლოვანებით უნდა აიხსნას (სურათი 11).

სურათი 11


საქმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით ლეტალობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, საქართველო. 2009-2014



ევროპის რეგიონში საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი ევროპის A და B+C ჯგუფის ქვეყნებისათვის უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში და, ზოგადად, ამიერკავკასიის ქვეყნებში. 2000-2012 წლებში ეს მაჩვენებელი ევროპაში სტაბილურია და ახასიათებს მცირედი კლების ტენდენცია, განსაკუთრებით B+C ჯგუფის ქვეყნებისათვის. საქართველოში ეს მაჩვენებელი 2000-2012 წლებისთვის მზარდია.^{viii} (სურათი 12).

სურათი 12


საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ევროკავშირი 2000-2012



100 000 მოსახლეზე გამოთვლილი, 0-64 წლის ასაკის მოსახლეობის საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებით სიკვდილობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებლები საქართველოში უკეთესია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის ხელმისაწვდომია 2010 წლისათვის და უფრო დაბალია ვიდრე ევროკავშირში^{vi} (სურათი 13).

სურათი 13

საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებებით სიკვდილობის ასაკ-სტანდარტიზებული მაჩვენებელი, 0-64 წელი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ევროკავშირი, 2000-2012



ⁱ Global status report on noncommunicable diseases 2010.

ⁱⁱ http://www.who.int/healthinfo/global_burden_disease/en/

ⁱⁱⁱ http://www.who.int/healthinfo/global_burden_disease/estimates/en/index2.html

^{iv} The European health report 2012: charting the way to well-being. WHO 2013

^v Digestive Diseases and Nutrition. <http://www.niddk.nih.gov/about-niddk/strategic-plans-reports/-2014>.

^{vi} Burden of Digestive Diseases in the United States Report. NIDDK 2008

^{vii} საქსტატის 2013 წლის მონაცემები

^{viii} European Health for All database (HFA-DB)

* 2015 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, ნაცვლად 4,49 მილიონისა, საქართველოს მოსახლეობაა - 3,72 მილიონი